პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 252 (18794) ორშაბათი, 31 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ახალ შეხვედრამდე!

რესპუბლიკის დედაქალაქმა გულითადად და გულთბილად გააცილა ზეიმის მონაწილე დელეგაციები.

30 ოქტომბერს თბილისიდან გაემგზავრნენ დელეგაციები: ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის გმირ ქალაქ **მოსკოვისა** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიშინის მეთაურობით, **რუსეთის ფედერაციისა** — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. პ. ორლოვის მეთაურობით, **აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა** — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჭ. მ. ბაგიროვის მეთაურობით, **ხომხეთის სს რესპუბლიკისა** — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კ. ს. დემირჩიანის მეთაურობით, **სტავროპოლის მხარისა** — სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ს. **მურახოვსკის**, სომხეთის სს **რესპუბლიკისა** — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **კ. ს. დემირჩიანის**, სტავროპოლის მხარისა — სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ს. **მურახოვსკის**, მოზეიმე რესპუბლიკის სხვა სტუმრების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების **გ. ა. ანდრონიკაშვილის, გ. დ. გაბუნიას, პ. გ. გილაშვილის, გ. ნ. ენუქიძის, ა. ნ. ინაურის, გ. ვ. კოლბინის, ჯ. ი. პატიაშვილის, ტ. ვ. როსტიაშვილის, დ. ლ. ქართველიშვილის, ო. ე. ჩერქეზიას, ზ. ა. ჩხეიძის, ნ. ა. ჭითანავას, ს. ე. ხაბეიშვილის, ბ. ვ. ადლეიბას, თ. ი. მოსაშვილის, ვ. რ. პაპუნიძის, ფ. ს. სანაკოევის, უ. კ. შარტავას**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგის **ვ. ა. კონდრატიევის**, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ი. ნ. ორჯონიკიძის**, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის **ლ. ი. პოპოვის** გამოჩენას. აქვე არიან ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი **ვ. მ. არხიპოვი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი **ა. ი. შირინკინი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი **ბ. ე. სენტიურინი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი **გ. ა. კუკი**, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ე. სარალიძე**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. გ. ლორთქიფანიძე**, ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა, წარმოების მოწინავეებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

საქართველოს დედაქალაქთან გამომშვიდობებისას, სტუმრებმა გულითადი მადლობა გადაიხადეს. მასპინძლობისათვის. (საქინფორმი).

თბილისი, 1983 წლის 30 ოქტომბერი. რესპუბლიკის მოედნის ცენტრალურ ტრიბუნაზე მშრომელთა საზეიმო დემონსტრაციის დროს, რომელიც მიეძღვნა რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს.

ო. თურძიასა და ბ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია

საღამესასწაულო კოლონების მტკიცე ნაბიჯი

საქართველოს დედაქალაქის შრომითი დიდების, მისი გამრჯე, ალალი მარჯვენის, მისი ინტელექტისა და ტალანტის, ჯაღარა წარსულისა და საგმიროდ შემართული სიკაბუკის გამომჩატეველი იყო თბილისის მშრომელთა ასიათასიანი დემონსტრაცია, კვირა რომ გაიმართა რესპუბლიკის დედამოედანზე.

გეგონება, მთელი მოედანი ქალაქის თავზე ლივლივებს და საქვეყნოდ წარმოაჩენსო ყველას, ვინც კი უფლება მოიპოვა ამ საზეიმო დღეს ფეხი დაედგა მის ქვაფენილზე. საღამესასწაულო კოლონებში თბილისელებთან ერთად არიან საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის წარმოგზავნილნი, რესპუბლიკის საუკეთესო ადამიანები — ისინი, ვისი თავდადებული შრომაც სამშობლოს მაღალი ჯილდოთი დაგვირგვინდა.

„სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საქართველოს მშრომელთა მიერ მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად...“ — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ლენინის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოების შესახებ. 30 ოქტომბრის დემონსტრაციამ კვლავ დაადასტურა, რომ საქართველოს მშრომელებზე ალალია ეს ჯილდო, ცხადყო, რომ ისინი ისწრაფვიან ახალი გამარჯვებებით უპასუხონ პარტიის ყურადღებასა და მზრუნველობას.

რესპუბლიკის დედამოედანი ოქტომბრის მეწამული ფერებით ღუნს. მაღალ ანძებზე ფრიალებს მოკავშირე რესპუბლიკათა დროშები. ტრანსპარანტები შთამბეჭდავად ასურათხატებენ საქართველოს მშრომელთა წარმატებულ წინსვლას პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების გზით. ხალხთა ოდინდელ მისწრაფებებს გამოხატავენ „ცოცხალი ნახატები“ მრავალსაფეხურიან ტრიბუნაზე. აქ თბილისელი მოსწავლეები ნაირფერი ალმებით სინქრონულად „წერენ“: „ძმობა“, „მშვიდობა“, „შრომა“...

დილის 10 საათია. დემონსტრაციის მონაწილენი მქუხარე ტაშით ხვდებიან ტრიბუნაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის, ქალაქ მოსკოვის დელეგაციის ხელმძღვანელის **ვ. ვ. გრიშინის**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ე. ა. შევარდნაძის**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის **თ. ნ. მენთეშაშვილის**, დელეგაციათა ხელმძღვანელების: რუსეთის ფედერაციისა — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ვ. პ. ორლოვის**, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ჭ. მ. ბაგიროვის**, სომხეთის სს რესპუბლიკისა — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **კ. ს. დემირჩიანის**, სტავროპოლის მხარისა — სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის **ვ. ს. მურახოვსკის**, მოზეიმე რესპუბლიკის სხვა სტუმრების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების **გ. ა. ანდრონიკაშვილის, გ. დ. გაბუნიას, პ. გ. გილაშვილის, გ. ნ. ენუქიძის, ა. ნ. ინაურის, გ. ვ. კოლბინის, ჯ. ი. პატიაშვილის, ტ. ვ. როსტიაშვილის, დ. ლ. ქართველიშვილის, ო. ე. ჩერქეზიას, ზ. ა. ჩხეიძის, ნ. ა. ჭითანავას, ს. ე. ხაბეიშვილის, ბ. ვ. ადლეიბას, თ. ი. მოსაშვილის, ვ. რ. პაპუნიძის, ფ. ს. სანაკოევის, უ. კ. შარტავას**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგის **ვ. ა. კონდრატიევის**, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ი. ნ. ორჯონიკიძის**, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის **ლ. ი. პოპოვის**, სომხეთის სს **რესპუბლიკის**, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ბ. ა.

ბეგიანის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი **ვ. მ. არხიპოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი **ა. ი. შირინკინი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი **ბ. ე. სენტიურინი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი **გ. ა. კუკი**, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ე. სარალიძე**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. გ. ლორთქიფანიძე**, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, პარტიისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

მადლობა შორსმჭვრეტელ წინაპრებს, მოვალეობა მომავლის წინაშე

გაისმის ფანფარების ხმა. მოედანზე შემოდიან **მძლავრი „კოლონიები“**. მანქანების ლაზათიანი გაფორმება იმის ნათელი ილუსტრაციაა, თუ რით შეეგება რესპუბლიკა დღესასწაულს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომითი პატაკი. ერთ მწყობრში მობიჯნეებენ ზესტაფონელი მეტალურგები და მაზარაძელი მეჩაიეები, კახელი მევენახეები და ენგურჰესის მშენებლები. ჭუთაისელი ავტომშენებლები გვიჩვენებენ თავიანთ სიახლეს — სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანებს.

იწყება თეატრალიზებული წარმოდგენა. მრავალთასიანი სადემონსტრაციო ტრიბუნის ნახევარსფეროზე ნაირფერად ციალებს ციფრი „200“, ჩნდება სიტყვები „სამარადჟამოდ ერთად“. მოედანზე კი ერთმანეთს უახლოვდებიან დათავთავებული რუსული ხოდაბუნი და ქართული ზვარი... ქიერს რუსული და ქართული სიმღერების პოპური. ფერხულში ჩაბმული წარმოდგენის მონაწილენი სარულებენ ეროვნულ ცეკვებს. მასპინძლებმა სტუმრებს პურ-მარილი მიართვეს. საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა, კრასნოიარსკის, ციმბირის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებმა, მხატვრული თვითმქმედების კოლექტივებმა დღესასწაულის სტუმართა წინაშე გააცოცხლეს ისტორიის შთამბეჭდავი ეპიზოდები — ქართველი და რუსი ხალხების დამოყვრება, ხელმოწერა მეგობრული გეორგიევსკის ტრაქტატისა, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოს სვე-ბედის ისტორიულ შემობრუნებას და მოუვლინა ქომაგი ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობლის სახით.

მოედანს მოეფინა რევოლუციური სიმღერების საზეიმო ჰანგები. იგი შეგვახსენებს: ორი ერის ისტორიული დიალოგი დროთა განმავლობაში მებრძოლთა რევოლუციურ კავშირად გადაიზარდა. ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსეთის პროლეტარიატის მხარდამხარ, საქართველოს ბოლშევიკები აღსდგნენ თვითმპყრობელობის, კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ძალადობის დასამხობად.

ხელოვნების ხატოვანი ენით გამოთქმული ეს მეტყველი დიალოგი გრძელდება. მრავალეროვანი საბჭოთა ოჯახენი დღიდან მას უკვე ეწევიან ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ ადამიანთა საზოგადოების უზენაესი ზნეობრივი ნორმების — სოციალიზმის ნორმების მიხედვით, რომელთაგან უმთავრესია მშრომელ ადამიანთა ერთობა და თანადგომა.

„ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, — თქვა პოეტმა. სწორი ბრძანებაა. ძმური თანადგომა არათუ მარტოკაცს, მთელ ხალხსაც უთავეცებს ძალებს. გაკა ამას არ მოწმობს ასეთი მონაცემები: მრეწველობის სხვადასხვა დარგის ათასხუთასამდე დიდი და საშალო საწარმო ახლა ორ დღეში უფრო მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე ჩვენში მთელი 1920 წლის განმავლობაში გამოდიოდა. საქართველო, რომელსაც სსრ კავშირის ტერიტორიის სულ მესამასედი ნაწილი უკავია, დღეს იძლევა ქვეყანაში გამოშვებული მთელი მაგისტრალური ელმავლების მესამედს, ყურძნის ცამეტ პროცენტს, ციტრუსოვანთა თითქმის ას პროცენტს, ჩაის ფოთლის 94 პროცენტს.

(დასასრული მე-2 გვ.).

ისტორიის მოწმენი

...ეს ოქროს საათი ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა პირადად აჩუქა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლების გმირს, ჯავშანმატარებლის მეთაურს ლუკიანე თიბუკაშვილს. ამ მაგიდასთან კი „საქართველოს სიძე“ — ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი წერდა ქალაქ თბილისის განაშენიანების გაუმჯობესების პროექტს. აი საქართველოს რევკომის პირველი წევრები დროშა — ხალხის სოციალური და ეროვნული აღორძინების სიმბოლო, ხალხისა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე უცხოელ დამშონებელთა შემოსევებს განიცდიდა.

უძველესი დროიდან დღემდე ამ და სხვა რელიკვიებს წინ უძღვის მრავალი ფოტოპანო, პორტრეტი, ქანდაკება, დოკუმენტი, მემორიალური ნივთი, რომლებიც განეკუთვნება XVIII საუკუნეს — გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსეთისა და საქართველოს მეგობრობის პირველი ოფიციალური აქტის ხელმოწერის საუკუნეს.

დარბაზს ამშვენებს მხატვრული ტილო: პეტრე პირველი და მისი უახლოესი თანამებრძოლი, რუსული არტილერიის ერთ-ერთი შემქმნელი, რუსეთის არმიის გენერალ-ფელდცეიხმაისტერი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი. მამამისი, არჩილ მეორე დამაარსებელია მოსკოვში ქართველთა დასახლებისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ორი მომდე ხალხის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში.

ექსპასიამძღოლი სტუმრებს უამბობს იმაზე, რომ ჯერ კიდევ 1736 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით პეტერბურგში ჩამოასხეს ქართული შრიფტი, ერთი წლის შემდეგ კი გამოიცა რუსულ-ქართული ანბანი. იმავე წელს რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ რუსულ ენაზე გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის რუკები, რომელიც შემდგომ მ. ვ. ლომონოსოვთან და რუსული მეცნიერული აზრის სხვა მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად იყო მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის.

ექსპოზიციაშია პორტრეტი ერეკლე მეორისა, რომლის ინიციატივით ხელი მოაწერეს რუს ხალხთან ქართველი ხალხის დამოყვრების მანიფესტს. მხატვარს ერეკლე დაუხატავს მთელი ტანით, მტკიცე და უდრეკი, რომელშიც შეხამებულია სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და მხედართმთავრის ნიჭი, და რომელიც მზად არის ხორცი შეასხას საქართველოს მოწინავე ადამიანთა საუკუნო ოცნებას.

ერთმანეთთან დაკავშირებულია ეპოქები. ექსპოზიცია ასახავს ხალხების, მათი კულტურების ისტორიულ დიალოგს, რომელიც ბუნებრივად გადაიზარდა თვითმპყრობელობასთან და ბურჟუაზიასთან მებრძოლთა რევოლუციურ კავშირად, რომლებმაც დამყარეს სოციალიზმი საქართველოში.

ყოველივე ამას ასახავს გამოფენა „სამარადჟამოდ ერთად“, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა. გამოფენა მოაწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალური მუზეუმი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ა. ვ. შჩუსევის სახელობის არქიტექტურის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმი. მოსკოველ მეგობრებს მთელი რიგი უნიკალური ექსპონატები წარმოუდგენიათ. მათ

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად 1983 წელს გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მშრომელები დიდ წარმატებებს აღწევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შრომითს მეტოქეობაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებმა, დადგნენ რა რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და მონოლითური ერთიანობის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის 25 წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, სოციალისტური შეჯიბრება წარმართეს მეთვრამეტე ხუთწლედის მესამე წლის გეგმა-ვალდებულებათა უთუო მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შეგნებული დისციპლინის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ურღვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, პირნათლად გაართვეს თავი ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ამ ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღებს 1983 წლის 15 ოქტომბერს მიუძღვნეს რესპუბლიკური კომუნისტური შაბათობა, რომელმაც მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ინტერნაციონალური სოციალისტური შეჯიბრების გეოგრაფია, დაიდო ბევრი ახალი ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ საქართველოს სსრ და რუსეთის სფსრ, სომხეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომითს კოლეტივებს, ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებს შორის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილეს რა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები:

1983 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად და ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის გამარჯვებულად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და დიპლომითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს:

ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები

— აფხაზეთის ასსრ

ქალაქები

— გორი
— ზუგდიდი
— ჭუთაისი
— ფოთი
— თბილისი
— ჭიათურა

რაიონები

— გარდაბნის
— ზესტაფონის
— სამგრედიის
— თელავის
— ქალაქ ყულაბუგის ზონა

თბილისისა და ქუთაისის რაიონები

— ქ. თბილისის გლდანის რაიონი
— ქ. თბილისის საჯარაზნო რაიონი
— ქ. თბილისის კიროვის რაიონი
— ქ. თბილისის ლენინის რაიონი
— ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონი
— ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონი

1983 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი შედეგებისათვის მრეწველობის ხაზით გამარჯვებულად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და დიპლომითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს.

— **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი**

1983 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად, და ცალკეულ სახელობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის გამარჯვებულად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და დიპლომითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს:

ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები

— აჭარის ასსრ

რაიონები

— აბაშის
— ახალქალაქის
— ბოგდანოვკის
— ბორის
— დმანისის
— ზუგდიდის
— ქობულეთის
— მახარაძის
— ოჩამჩირის
— წითელწყაროს

1983 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად, და ცალკეულ სახელობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებების შესრულებისათვის გაშლილ რესპუბლი-

(დასასრული მე-2 გვ.).

საღღესასწაულო კოლონების მტკიცე ნაბიჯი

(დასასრული)

მტკიცედ მოაბიჯებენ ჩვენი რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმოგზავნილები.

— ბევრი სიახლეა ჩვენს საწარმოში, — სიამაყით ამბობს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამმართველი ჯ. გუგავა, — მათგან მთავარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების გამომშვები მთავარი კონვეიერის დამონტაჟების დაწყება. „სრული სიფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი ქარხანა ქვეყნის ყველა ავტომობილმშენებლის პირმშოა. ჩვენ ხომ დაგვეხმარნენ და გვეხმარებიან მოსკოვისა და მინსკის, ლვოვისა და ქალაქ ბრეჟნევის სპეციალისტები...

მოძმე ხალხების დღევანდელ მისწრაფებათა ერთობლიობას ღრმა ფესვი აქვს გადგმული. მას ასწლეულების წინ ჩაუყარა საფუძველი ერების კულტურათა კავშირმა. ეს შეგვახსენეს კალინინისა და კიროვის რაიონების მშროველთა კოლონებმა. ლურჯწითელი ალმების ზღვაში მოჩანს საქართველოსა და რუსეთის თვალსაჩინო კულტურის მოღვაწეთა, იმ მამულიშვილთა პორტრეტები, ჩვენი სამარადამო კავშირის ჩასახვის სათავეებთან რომ იდგნენ.

— გულთა კავშირმა გაუძლო დროის გამოცდას,—თქვა საქართველოს მწერალთა კავშირის კამგეობის თავმჯდომარემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა ნ. დუმბაძემ, — ჩვენი ხალხების სულიერი ცხოვრება განუზომლად გამდიდრდა. აბა, ჩაუფიქრდით: რესპუბლიკის თერთმეტი გამომცემლობა ყოველწლიურად თითქმის 1500 დასახელების წიგნს უშვებს, რომელთა საერთო ტირაჟი თექვსმეტ მილიონს აღემატება. მთელ დედამიწის ზურგზე იცნობენ ქართულ ლიტერატურას.

ახლანდელი თაობა თვალისჩინივით უფრთხილდება წმიდათაწმიდა მეგობრობას, რომელიც სულმნათმა წინაპრებმა გვიანდერძეს. აი, ათასთაგან ერთი მაგალითი: როცა თბილისის ფერადი ტელევიზორების ქარხანა „ეკრანი“ ის-ის იყო აჩაღებდა საქმიანობას, ახალგაზრდა თბილისელ სპეციალისტთა დიდი ჯგუფი სტაჟირებისათვის მოსკოვში მიიწვიეს. მათ შორის იყვნენ ზ. ლომსაძე და ლ. ფრედინსკი. ნახევარ წელიწადს ეუფლებოდნენ ისინი რადიოაპარატურის დამონტაჟების რთულ ხელოვნებას მოსკოვის „რუბინის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სატელევიზიო ქარხანაში. და თუ დღეს მათ მშობლიურ საწარმოში

საამაყო სიტყვას უწოდებენ, იციან: ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუს ოსტატებს.

ნახევრადშინამრეწველური საწარმოებიდან — ელექტრონული აპარატების გამოშვებაზე დასპეციალებულ ქარხნებამდე — ეი გზა, რომელიც საქართველოს მრეწველობამ გამოიარა ექვს ათწლეულზე ოდნავ მეტი ხნის მანძილზე. თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, რომელიც ამერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოების ბაზაზე შეიქმნა, არის მუზეუმი. მისი ექსპონატები აცოცხლებენ რევოლუციურ მოვლენებს. ამ ქარხნის მუშები პირველ მაისობებზე ჟანდარმერიისაგან მალულად იკრიბებოდნენ ტყეში, იქ, სადაც ახლა ლენინისა და გლდანის რაიონების ახალი საცხოვრებელი უბნებია გაშენებული, სადაც თბილისის ზღვა გაჩნდა.

— იმ დროს ყალიბდებოდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ბირთვი, — ამბობს საწარმოს ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე,— შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი 28 მუშის — სხვადასხვა ერის წარმომადგენელ რევოლუციონერთა სახელები უწოდეს თბილისის ქუჩებსა და მოედნებს.

მათი ლურსეული მიმდევარია კომუნისტი კ. ილურიძე, ნახევარსაუკუნოვანი სტაჟის მქედელი. ამავე მუზეუმში ინახება ურო, რომლითაც იგი მუშაობდა ოდესაც და რომლითაც, რუსი მეშახტის ა. სტახანოვის დარად შრომითს რეკორდებს ამყარებდა სამეფოდლო საქმეში. ახლა ასამდე მუშა თვლის თავს ილურიძის ნამოწაფრად. ისევე როგორც მასწავლებელს, მათაც ერთი უმთავრესი მცნება აქვთ: იმუშაონ დღეს გუშინდელზე უკეთ, და ხვალ — დღევანდელზე უკეთ.

ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ...

თითქოს, სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ ლენინისა და გლდანის რაიონების საბრეწველო საწარმოებში იშვა მოძრაობა „ყოველი სამუშაო დღე — მშვიდობის ვახტზე!“ მისი ინიციატორები გახდნენ გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მოწინავე მუშები გ. მეტრნიძე და გ. გოგოლაძე — პირველი ქართველი სტახანოველის კ. ილურიძის ერთგული მიმდევარნი. ამ ვეტერანის ბიოგრაფიაში არის კიდევ ერთი ნათელი შტრიხი: დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი დონის როსტოვიდან, ტიხორეცკიდან და სხვა ქალაქებიდან თბილისში ევაკუირებულ მუშებთან ერთად უშვებდა პროდუქციას ფრონტის საჭიროებებისათვის. მთელი ქვეყანა სჭედდა ფაშისტთა ურდოებზე გამარჯვებას. მთელი მსოფლიო ადიდებდა ჰიტლერიზმზე ჩვენს გამარჯვებას.

დღეს მსოფლიოში კვლავ შფოთიანი ვითარებაა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მსოფლიო ბატონობის იმპერიალისტ პრეტენდენტებს ბირთვული ომის გაჩაღების ავბედითი გეგმები ჩაუფიქრებიათ.

ჩვენ მუდამ გვახსოვს ეს — ლბინისა თუ ზეიმის დღეებში. ამის დასტურია კოლონათა თავზე აღმართული ტრანსპარანტები. „არ გვინდა ომი!“ — მტკიცედ აცხადებენ ელმავალმშენებლები და მათთან ერთად მოედანზე შიმოსული საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის, 1 მაისის სახელობის სართავი ფაბრიკის მშრომელები, რკინიგზელები.

მრავალათასიანი ტრიბუნის წინ, რომელიც აყვავებულ მზესუმზირის ვეიერგვინს წაგავს, სცენაზე გამოჩნდნენ პიონერები და მოსწავლეები. ისმის მელოდია „იფრინეთ მტრედებო“. და მოედნის თავზე, უეცრად, თითქოს მარადიული ცეცხლი აინთოო...

უკვდავია იმ. მამულიშვილთა ხსოვნა, რომლებმაც ფაშიზმთან სასტიკ ბრძოლებში მოგვიპოვეს დღევანდელი მშვიდობიანი დღე. საქართველომ 700 ათასზე მეტი შვილი გაგზავნა ფრონტზე. მათგან ნახევარზე მეტი შინ არ დაბრუნებულა, თავი გასწირა სამშობლოსათვის. მამაცთა გმირობას მარად გაახსენებს მომავალ თაობებს ოქტომბრის რაიონის მემორიალური სასაფლაო. იგი წმინდა ადგილად იქცა ჩვენი ახალგაზრდობის, საბჭოთა ადამიანების ყველა თაობისათვის. აქ დგანან ერთგულების ფიცს ჩვენი არმიის მომავალი მეომრები, აქ გადასცემენ მოსწავლეებს პიონერულ ყელსახვევებსა და კომკავშირულ სამკერდე ნიშნებს.

ტრანსპარანტები, პლაკატები გვიამბობენ: პირველი მაისის, ოქტომბრისა და თბილისის სხვა რაიონების „წითელი კვალმაძიებელნი“ დიდ მუშაობას ეწევიან სამამულო ომის გმირთა ვინაობის დასადგენად... ეს მუშაობა მათ აწრთობს და ავაჟკაცებს სამშობლოს ბედნიერების, მშვიდობიანი პლანეტისათვის ბრძოლაში. ამ კეთილშობილურ ბრძოლაში ისინი მხარში უდგანან თავიანთ დედებს, მამებს, იმათ, ვინც თავგანწირვით იცავდა მამულის ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

ასეთ ადამიანთაგან ერთ-ერთია გადამდგარი პოლკოვნიკი ს. შაპოვალოვი, მრავალი საბრძოლო ჯილდოს კავალერი. იგი ფრონტზე წავიდა ქალაქ გეორგიევსკიდან, სადაც ორასი წლის წინ დაიდო რუსეთ-საქართველოს დამოყვრების ისტორიული ხელშეკრულება. მონაწილეობდა ბელორუსიის, პოლონეთის განთავისუფლებაში, თავი გამოიჩინა ბერლინის აღებისას. ომის შემდეგ თბილისში დასახლდა და დიდ სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობასთან. იგი დღესაც მოდის დემონსტრანტებთან ერთად, რომლებსაც მოაქვთ ლენინის ორდენის გამოსახულება და გამოხატავენ მისწრაფებას იყვნენ ამ მაღალი ჯილდოს ღირსნი. ამას ადასტურებს კოლეგებთან ერთად მომავალი ვ. ქემაშვილი — კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ქარგალი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი:

— სამშობლოს ჯილდო ძალას გვმატებს. და ჩვენც მთელ ამ ძალას მშვიდობიან შრომას მოვახმართ.

ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ. პირველი სოციალისტური სახელმწიფო ოშვა ხალხთა შორის დაზავების მოწოდებით. საბჭოთის მთელი 66 წლის ისტორია — ეს არის ისტორია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრული ბრძოლისა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა, როგორც გაზეთ „პრავდის“ შეკითხვის პასუხში განაცხადა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ი. ვ. ანდროპოვმა, მიზნად ისახავს ააცილოს თავიდან ევროპას ბირთვული საფრთხე, განამტკიცოს უშიშროება კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში. იგი სულ უფრო ფართო მხარდაჭერას პოულობს მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანებს, საღად მოაზროვნე პოლიტიკურსა და სახელმწიფო მოღვაწეებს შორის.

ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტი მესვეურნი და რეაქციონერები კი განაგრძობენ

გამალებულ შეიარღებას, ოცნებობენ სსრ კავშირზე სამხედრო უპირატესობის მიღწევას... ეს გვავალებს ნიადაგ ვიფხიზლოთ, ეს გვავალებს ვიბრძოლოთ მშვიდობის დასამკვიდრებლად და ამასთანავე განვამტკიცოთ ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

„მეგობრობა გზად და ხიდად!“ „იხარე საქართველოვ, ერთიან ძმურ ოჯახში!“ წარწერილია ლოზუნგებზე, რომლებიც მოაჭკთ თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვანი უბნის — 26 კომისრის რაიონის დემონსტრანტებს. კერამიკის კომბინატსა და ქარხანა „მიკროძრავაში“, № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკასა და სხვა საწარმოებში მხარდამხარ მუშაობენ ქართველები და სომხები, რუსები და აზერბაიჯანელები, უკრაინელები და ოსები...

ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში უამრავი მაგალითი გვაქვს იმისა, თუ როგორ ამრავლებს ძმური კავშირი ჩვენი ხალხების ძალებს. „სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს რესპუბლიკათა ინტერესები, სულ უფრო ნაყოფიერი ხდება ურთიერთდახმარება, ურთიერთკავშირი, რომლებიც ერთიანი კალაპოტით წარმართავენ საბჭოთა კავშირის ერებისა და ეროვნებების აღმშენებლობითს მეცადინეობას“, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნისი“ გამომკვეთთა ბრიგადირმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. რიმნისთაველმა საქმეყნოდ გამოქვა სახელი თადარიგიანი მუშაობით. მის მიერ დაზოგილი მასალისაგან დამატებით მზადდება ჩსობით წყვილი ფეხსაცმელი.

— მაგრამ მეფეხსაცმელეებს უფრო ხარისხოვანი პროდუქციაც მეთხოვებათ, — თქვა ბრიგადირმა, — ამიტომ გაერთიანებამ ურთიერთდახმარებისა და შეჯიბრების ხელშეკრულება დაუდო ლენინგრადის ფეხსაცმლის გაერთიანება „სკოროხოდს“ და მოსკოვის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ზარიას“. ეს დავვეხმარება გამოვუშვათ მზოლოდ ხარისხოვანი პროდუქცია.

ხარისხიანი მუშაობა კი შეუძლებელია, თუ არ იქნა მაღალი შრომის დისციპლინა. მიმდინარე წლის დამდეგს მთელმა რესპუბლიკამ აიტაცა თბილისელ ავიამშენებელთა მოწოდება — ვიმუშაოთ დევიზით: „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა თითოეულისაგან — ყველგან და ყველაფერში!“ ახლაც ავიამშენებლები წინ მოუძღვიან საქარხნო რაიონის მშრომელთა კოლონას.

— ეს ჩვენი პირველი თაოსნობა როდია, რომელსაც ფართოდ დაუჭირეს მხარი სხვა შრომითმა კოლექტივებმა, — ამბობს ამ ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. ბარიგინი, — და ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ყოველი დიმიტროველი დაკისრებული საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითი უნდა იყოს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა გააჩაღეს ბრძოლა მტკიცე დისციპლინისათვის. და ეს შემთხვევითი როდია: თუ არ გამოიჩენ მაღალ შეგნებას, შენი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას იმისათვის, თუ რა სპეციალისტი დადგები, ვერ იქნები ნამდვილი მოქალაქე.

ეს ახლოვთ ჩვენი სტუდენტობის დამრიგებლებს — ქართული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებს. დღეს იგი ეკრანზე მოწინავე პოზიციებზე დგას. ჩვენ კანონიერი სიამაყით ვახსენებთ საქვეყნოდ აღიარებულ ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, ბიოლოგთა, ფიზიკოსთა, ბიოლოგთა, ისტორიკოსთა, ფსიქოლოგთა, ფილოსოფოსთა, აღმოსავლეთმცოდნეთა სამეცნიერო სკოლებს. მათთან ერთად ჩნდება და მკვიდრდება თანამედროვე მეცნიერების სხვა დარგები. ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოში ოცზე მეტი საკავშირო და საერთაშორისო კონფერენცია და სიმპოზიუმი გაიმართა მეცნიერებისა და კულტურის აქტუალურ პრობლემებზე, თვალსაჩინოდ ადასტურებს რესპუბლიკის დიდ მეცნიერულ ავტორიტეტს.

ქართველ მეცნიერთა აღსაზრდელებს — თბილისის უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სამედიცინო და სხვა ინსტიტუტების სტუდენტებს, რომლებიც ორჯონიკიძისა და საბურთალოს რაიონების კოლონებში გაერთიანებულნა, არაერთგზის დაუტკიცებიათ საქმით თავიანთი მოქალაქეობრივი სიმწიფე. „შრომითი სემესტრების“ დროს მათ კეთილი კვალი დატოვეს რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სხვა რესპუბლიკების მიწა-წყალზე. და ეს მარტოოდენ მათ მიერ აშენებული უმნიშვნელოვანესი სახალხოსამეურნეო ობიექტები რიდია. რესპუბლიკის ახალგაზრდა წარგზავნილნი, სადაც უნდა იყვნენ, ყველგან აკლენენ თავიანთი ხალხის საუკეთესო თვისებებს—თავდადებას, გულისხმიერებასა და გამტანობას, მაღალ ზნეობას, დისციპლინას.

მთელ მოედანზე გუგუნებს ახალგაზრდობის ფიცი. ქალიშვილები დ ჭაბუკები პირობას დებენ, რომ უერთგულებენ მამაპაპათა ანდერძს, რუსეთის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომდგენელ ძმებთან ერთად ამრავლებენ სამშობლოს ძლიერებას.

თბილისში გამართული დემონსტრაცია გადაიქცა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ჭეშმარიტ ზეიმად, პარტიისა და ხალხის ერთიანობის დღესასწაულად. მან დამაჯერებლად ცხადყო, რომ რესპუბლიკის მშრომელები კომუნიზმის იდეალების ერთგულნი არიან და, სამშობლოს მაღალი ჯილდოს პასუხად მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად განახორციელონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებები, მშობლიური კომუნისტური პარტიის ყველა დიადი წინასწარმეტყველება. (საქინფორმი).

სურათებზე: მშრომელთა დემონსტრაცია რესპუბლიკის მოედანზე.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი ჯეჯიბრების გამარჯვებულნი

(დასასრული)

კურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული შედეგებისათვის გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვეს:

რაიონები საკავშირო მნიშვნელობის მიხედვით

— ხიდნელის

სანაწვერალო და ფუალედური კულტურების მიხედვით

— ლაგოდეხის

მექანიზაციის მიხედვით

— ბოლნისის

მეგობრობის მიხედვით

— ვანის
— მცხეთის

მეჩაიეობის მიხედვით

— წალენჯიხის
— ჩოხატაურის

მევენახეობის მიხედვით

— თელავის
— ზაიკოვსკის

მეციტრუსეობის მიხედვით

— გალის

მეხილეობის მიხედვით

— ქარელის

მეშაბრეობის მიხედვით

— კასპის

მეცხოველეობის მიხედვით

— ხობის
— ლენტეხის

1983 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად, და ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვეს:

გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კოლექტივები

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით

— ზესტაფონის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხაზით

— ქალაქ თბილისის № 1 ტრესტის № 11 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველო

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით

— საჩხერის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო

საქართველოს სსრ სახინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაზით

— თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო, მეურნეობის სამმართველო

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით

— თბილისის სართავი ფაბრიკა

— მახარაძის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკა

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით

— ბათუმის ხისდამამუშავებელი კომბინატი

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხაზით

— თბილისის სატყეო მეურნეობა (გარდაბნის რაიონი)

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით

— ქუთაისის საწარმოო გაერთიანება

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით

— თბილისის საწარმოო გაერთიანება „თბილსრძე“

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით

— საწარმოო გაერთიანება „თბილისპური“ თბილისის საცდელ-ექსპერიმენტული პურფუნთუშეულის კომბინატი

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით

— თბილისის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის კერამიკული კომბინატი

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხაზით

— თბილისის სასწავლო წარმოება

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით

— ჩხოროწყუს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია

— „საქსოფლმშენმონტაჟის“ № 10 ტრესტი, ქ. სამტრედია

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით

— ამერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ლენინის ორდენოსანი № 1 ტრესტი, ქ. რუსთავი

— გაერთიანება „თბილმშენის“ „მაღლავმშენის“ № 10 ტრესტის კარკასულ-პანელური სახლმშენებლობის ქარხანა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით

— რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით

— „სოიუზპეჩატის“ თბილისის საქალაქო სააგენტო

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ხაზით

— ბოლნისის რაიონის სარაჩლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა

— დუშეთის სასთბურო საბჭოთა მეურნეობა-კომბინატი

— გარდაბნის რაიონის ნორიოს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ხაზით

— ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატი, ქ. თბილისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით

— საგარეჯოს № 4 საშუალო სკოლა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხაზით

— თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

— თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

— საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

— ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

— თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით

— ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საედიცინო სანიტარული ნაწილი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხაზით

— საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— მაიაკოვსკის ღვინის კომბინატი
— ვარკეთილის ღვინის ქარხანა

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— მახარაძის საწარმოო გაერთიანება
— წყალტუბოს საწარმოო გაერთიანება

საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— თბილისის №4 სტამბა

საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— აჭარის პროდუქციის მიწოდების განყოფილება „აჭარმომარაგება“

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმი“

— საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— თბილისის ზ. რუხაძის სახელობის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ცეკავშირის სისტემის ხაზით

— ჩხოროწყუს რაიონული სამომხმარებლო საზოგადოება

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— №10 „სამტრედიაგაზის“ ტრესტი

საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს ხაზით

— „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტი, ქ. თბილისი

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— ბათუმის ცენტრალური გადასაცლელი ნავთობბაზა

საქართველოს გეოლოგიის სამმართველოს ხაზით

— მცირე კავკასიის გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიცია, ბოლნისის რაიონი

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ხაზით

— თბილისის ავიასაწარმო

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხაზით

— თბომავალი „ხერსონი“

ამერკავკასიის რკინიგზის ხაზით

— თბილისის სამგზავრო სადგურის სალოკომოტივო დეპო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით

— გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი

ინსტიტუტების, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა ორგანიზაციების (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის გარეშე) კოლექტივების მიხედვით

— საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი

— სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

— სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი

— საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს სახელმწიფო საგზაო სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხაზით

— თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა

— სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ვ. ი. ლენინის სახელობის შახტი „ტყიბული“

— სსრ კავშირის სასუქების წარმოების სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქემმრეწვი“

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქვეუწყებო ტრესტების, სამმართველოების, გაერთიანებებისა და სხვათა კოლექტივების მიხედვით

— ტრესტ „ინჟმშენის“ მექანიზაციის სამმართველო

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით კოლმეურნეობები საერთო მაჩვენებლების მიხედვით

— ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულის ს. მ. კიროვის სახელობის
— დუშეთის რაიონის სოფელ ფასანაურის ს. ორჯონიკიძის სახელობის
— საქართველოს ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელ ლარგვისის ს. ორჯონიკიძის სახელობის
— სამტრედიის რაიონის ქ. სამტრედიის კიკვიძის სახელობის
— მაიაკოვსკის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის
— წალენჯიხის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის
— ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვის კ. მარქსის სახელობის
— ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის ნ. ბარათაშვილის სახელობის
— ქ. ტყიბულის ზონის სოფელ გურნის
— ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის დიმიტროვის სახელობის
— აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის
— აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის სახელობის
— აბაშის რაიონის სოფელ ნორიოს ი. ბ. სტალინის სახელობის
— ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის

მეგობრობის მიხედვით

— კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის ი. ბ. სტალინის სახელობის
— ხაშურის რაიონის სოფელ სურამის

მეკარტოფილეობის მიხედვით

— ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის
— ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის მ. კალინინის სახელობის

საკვებწარმოების მიხედვით

— გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის ს. მ. კიროვის სახელობის
— წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის ვაჟა-ფშაველას სახელობის

საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები

— გორის რაიონის ძევრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა
— გარდაბნის რაიონის სართიჭალის ჯიშთსანაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსი
— მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სანერგე საბჭოთა მეურნეობა
— გეგეჭკორის რაიონის მუხურჩის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
— მახარაძის რაიონის ნარეჯის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობა
— აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა

მეკარტოფილეობის მიხედვით

— წალკის რაიონის ჯინისის ექსპერიმენტული მეურნეობა

საკვებწარმოების მიხედვით

— დმანისის რაიონის უგრისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსი

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური უზრუნველყოფის რაიონული საწარმოო გაერთიანებების ხაზით

— გორის სასოფლო სამეურნეო წარმოების ტექნიკური უზრუნველყოფის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით

— წულუკიძის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებაში დიდი წვლილისათვის, რუსეთის სფსრ და საქართველოს მშრომელთა შრომითი თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით და სამახსოვრო დიპლომებით დაჯილდოვეს:

— რუსეთის სფსრ სტავროპოლის მხარის ქალაქი გეორგიევსკი
— რუსეთის სფსრ სტავროპოლის მხარის გეორგიევსკის რაიონი

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად 1983 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის საქ

ჯილდოს სიხარულით სუნთქავს რესპუბლიკა

ახალი შრომითი გამარჯვებისათვის შთაგვაგონებს

ძლიერების წყარო

ძველია სიტყვებით გამოკვეთოთ ის ღრმა მღელვარება, რომელმაც მოიცვა თითოეული ჩვენგანი — პარტიის ვეტერანები, როდესაც შევიტყვეთ ლენინის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოების ამბავი. ამით თითქოს შეჯამდა ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი შრომა, პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მისი გმირული ბრძოლის ახალი ეტაპი.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიის ხუთი ათას ხუთასი ვეტერანი ძალასა და ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ თავისი უდიდესი გამოცდილება გადასცეს საბჭოთა ადამიანების ახალ თაობას. ჩვენი რესპუბლიკის დაჯილდოება თითოეული ჩვენგანისათვის შემოქმედებითი აღფრთოვანების კიდევ ერთი მძლავრი წყაროა, აძრავებს ჩვენს ძალებს სამშობლოს შემდგომი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერებისათვის.

მ. ჯაფი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ვამრავლებთ წარმატებებს

ჩვენი რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოება უდიდესი სიხარულის და სიამაყის გრძნობას იწვევს. განსაკუთრებით მახარებს იმის აღიარება, რომ მშობლიური საქართველოს წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ჩვენ, მეჩაიეებს. წელს მოვკიოფეთ და გადასამუშავებლად ჩავაბარეთ ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი — 553 ათას ტონაზე მეტი.

მეჩაიეობა განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს. იგი სტაბილურად ვითარდება. წელს, მაგალითად, პლანტაციებში მუშაობდა ცხრასაზე მეტი ჩაის საკრეფი მანქანა, დიდძალი ხელის აპარატი. მათი დახმარებით სეზონში მოვკრიფეთ ასი ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

მე, საკოლმეურნეო შრომის დამკვრელ ჩემს ოთხ ქალიშვილსა და ვაჟიშვილს, ჩემს კოლეგებს ცხოვრების მიზნად დასახული გვაქვს ვამრავლოთ მეჩაიეთა წარმატებები.

ე. ცირამუა,
ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს კოლმეურნეობის მეჩაიე, შრომითი დიდების ორდენის სრული კავალერი.

ჩვენი წვლილი

ჩვენი, დიდი ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი ცდილობს მხარი გაუსწოროს რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკების საერთო ძიღწევებს. გასული ხუთწლედი ლენინელებმა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს და დაირაზმნენ მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნების დასალაშქრად, შახტის მოწინავე კოლექტივმა ხუთწლედის განვლილ ორ წელსა და ათ თვეში 63 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი საკოქსო ქვანახშირი ამოიღო. მოწინავე საწარმოს მიღწევებს ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადის წარმატებებიც ამშვენებს. მარტო წელს ჩვენმა მეშახტეებმა 41 ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღეს და საგეგმო დავალება 106,3 პროცენტით შესრულეს.

აი, ამიტომ ვამბობთ, რომ ჯილდო ჩვენი გამარჯვებაც არის, ჩვენი დაუღალავი მიზანსწრაფული მუშაობის შედეგია.

რ. ბოჯორიშვილი,
ქ. ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მეხუთე საექსპლოატაციო უბნის საჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი, კომუნისტური შრომის დამკვრელი.

დიდი სიხარული

სასიხარულო დღესასწაული მოვიდა ჩვენს მიწა-წყალზე: რესპუბლიკის დროშაზე მეხუთე ორდენი ელვარდა! ეს არის თითოეული მშრომელის — მუშისა და კოლმეურნის, მწერლისა და მხატვრის, მშენებლისა და ექიმის შრომის აღიარება...

პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე — ეს გრძნობა მუდამ თან გვდევს, სადაც უნდა ვიცავდეთ საბჭოთა საშემსრულებლო სკოლის ღირსებას. ამ დღეებში საქართველოს კამერული ორკესტრი, რომელსაც ვხელმძღვანელობ, საზღვარგარეთ მოგზაურობიდან დაბრუნდა. კონცერტები გავმართეთ ჩეხოსლოვაკიაში. ვმონაწილეობდით ბრატისლავისა და ბრნოს მუსიკალურ ფესტივალებში. სპეციალისტებმა და მსმენელებმა ჩვენი კონცერტები მიიღეს ისე, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა თავიანთი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. სოლო კონცერტები მქონდა შვეიცარია და ნორვეგიაში. სცენაზე გამოსვლისას ყოველთვის გვახსოვს საბჭოთა ხელოვნების კულტურის მოღვაწეთა მაღალი მისია,

ლ. ისაკაძე,
საქართველოს სახალხო არტისტი.

ძმობის სამკვიდრო

ხალხთა ძმობის ზეიმს განსაკუთრებული განწყობილებით შეეგება ჩემი მშობლიური აჭარა. იგი ხომ დედასამშობლოს იმის მეოხებით დაუბრუნდა, რომ საქართველოს მოხალისეთა რაზმებს ერთგულად ამოუდგნენ მხარში რუსეთის მებრძოლები. მტრისთან დანგრეული და განადგურებული სიყვარულმა და მეგობრობამ ააშენა. საბჭოეთის დიადი ქვეყნის ხალხთა ძმობის მადლით ყვავის დღეს ასე ჩვენი მხარის ქალაქები და სოფლები. სიხარული და ხალისი დამკვიდრებულა ყველგან.

აჭარის მშრომელთა სახელით ლენინის ორდენით დაჯილდოებას ვულოცავ მთელი საქართველოს მშრომელებს.

დაე, მუდამ კაშკაშა მზე დაჰნათოდეს ჩვენს ქვეყანას, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სამკვიდროს!

გ. ჭანიძე,
ხელვაჩაურის რაიონის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

მოგვიწოდებს, გვავალებს...

ჩვენი რესპუბლიკა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ეს მისი მეხუთე საპატიო ჯილდოა. ხუთი ორდენი სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში ჩვენი მშრომელების მიერ მიღწეულ დიდ წარმატებებს მოწმობს. ვიხარია, როცა შენი წვლილიცაა ამ წარმატებებში, სწორედ ჩვენი ხელით შეიქმნა ქარხნები და ფაბრიკები, სახლები და სკოლები, მეტროპოლიტენის სადგურები და სპორტული ნაგებობები.

ასე მგონია, გუშინ დაიწყო თბილისში ახალი საცხოვრებელი მასივის — მუხიანის მშენებლობა. დღეს კი იქ, სადაც ცოტა ხნის წინათ ტრიალი მინდორი იყო, აღიმართა საცხოვრებელი სახლების უბნები, სავაჭრო, სასწავლო, საყოფაცხოვრებო დაწესებულებების კომპლექსები.

ლენინის ორდენი, რომელიც რესპუბლიკას მიანიჭეს, შთაგვაგონებს ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის, გვავალებს არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით და ვამრავლოთ წარმატებანი.

ვ. ჭელიძე,
№ 14 ტრესტის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე.

ძლიერ არმიებს,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად, მრავალჟამიერ!

— იმ მრავალ ჯილდოს შორის, მე რომ მომიღია, თბილისის საპატიო მოქალაქის ეს მედალი განსაკუთრებით მაღელვებს, — თქვა გიორგი ტოფსტონოგოვმა. — მე ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე. მის თეატრალურ სცენაზე დაიწყო ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება. თბილისში ჩამოსვლა ჩემთვის მშობლიურ ოჯახში დაბრუნებაა. ნეტავ, ამ დღეს დედაჩემიც მოსწრებოდა, ეს მისთვისაც ძალზე დიდი ბედნიერება იქნებოდა.

— თბილისში თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოვდივარ. რა უნდა იყოს იმაზე უფრო სასიხარულო, როცა იცი, რომ მოუთმენლად მოგელიან, — თქვა ლევ კულიჯანოვმა. — მაგრამ ახლანდელი ჩამოსვლა სამუდამოდ დამახსოვრდება. თავს ბედნიერად ვგრძნობ და დიდ პატივად ვთვლი, რომ მშობლიმა ქალაქმა ასე დამიფასა მოკრძალებული წვლილი ჩვენს მრავალეროვნულ ხელოვნებაში.

— თბილისობის ნათელმა დღესასწაულმა ღირსეულად დააგვირგვინა საიუბილეო ზეიმი, — თქვა სოციალისტური შრომის გმირმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, მოსკოვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ვლადიმერ სემენიხინმა. — მოსკოვის დელეგაციის სახელით მინდა ვუთხრა ძვირფას ქართველ ამხანაგებს: ჩვენ ვიზიარებთ თქვენს სიხარულს, ვამყობთ თქვენთან ძმობით!

მრავალჟამიერ... ჩამოკრეს ძველებურ ზარებს „ერთგულების“ სახლში. აქ თბილისობას ქორწილი აქვს. ოქროს შემოდგომის ოქროს ქორწილი. ბარბალე და ინდიკო მეიფარიანები — ცაგერელი კოლმეურნეები — აღილვებულნი და შეცბუნებულნი დგანან სტუმრებით გაჩუმორტყმულნი. და როგორც ნახევარი საუკუნის წინ, მშობლიურ სოფელში, ოჯახის უფროსი აქ, ერთგულების სახლის ეზოში, ტრადიციისამებრ ცულით ანობს შეშას. თუ მარჯვენა ღონიერია — იქნება ოჯახში ბედნიერება. აი ისიც ახდენილი ბედნიერება — თორმეტი შვილი და ცამეტი შვილიშვილი.

გვერდით კი „მზეობა“ ზეიმობს მეორე ბედნიერ დღეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ცვლის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ნანიტაშვილი შვილიშვილს თავის სახელს „ანაოლავს“.

— ატარე ეს სახელი ღირსეულად, როგორც ჩვენს გვარს შეეფერის!

ნანიტაშვილთა დინასტია ცნობილია ქარხანაში. აქ შესანიშნავად შრომობს მისი ათი წარმომადგენელი.

დედაქალაქი გულია საქართველოსი. და ეს გული რესპუბლიკის ყველა მშრომელის ლხინსა და ბედნიერ იუბილეებს იტევს. სიხარულია ყველგან — აფხაზეთ ფაცხაშიც, ოსურ ქოხშიც და გიორგ სვანურ კოშკშიც.

გვიხმობს რიყე—დღესასწაულის სული და გული.

ახალშენება,

ახალსახლობა...

მუხიანის ქუჩების ყველა შუქნიშანი მხოლოდ მწვანე ჩირაღდნებით აციმციმდა. ავტომობილებმა მთლიანად დაუთმეს თავიანთი გზა ქვეითად მოსიარულეებს. და ეს ზურმუხტოვანი ციალი ღრმად სიმბოლურია: მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო, ვგვეწვიეთო ახალმოსახლეობაზე!

ახალმოსახლეობანი მუხიანში მუდმივი, ყოველდღიური დღესასწაულია. ამ ახალმა საცხოვრებელმა მასივმა, როგორც საქართველოს დედაქალაქის რუკაზე მხოლოდ გასულ წელს გაჩნდა, თბილისობის წინ მეათეათასე მცხოვრები ჩაიწერა თავის სამკვიდროში.

...იქნებ მათ ვერც ენახათ ერეკლეთი — შოთა სუხიაშვილსა და ტარიელ ასათიანს. თბილისობამ შეჰყარა ეს ორი ადამიანი, რომლებმაც თავიანთი ბედი ქალაქის ახალმშენებლობებს დაუკავშირეს. მთელი სიცოცხლე შოთა სუხიაშვილი თბილისელებს უშენებდა სახლებს, ახლა კი ოჯახი გაეზარდა, შვილიშვილები წამოეზარდნენ, თავადაც გახდა ახალმოსახლე დიდ ბინაში. ხოლო ტარიელი მისთვის აშენებდა, მისთვის და მისი ახალი მეზობლებისათვის ამ სახლს, რომელიც სათვალავით მეცამეტეა მშენებლის ბიოგრაფიაში.

მათ ერთმანეთი ეზოს დღესასწაულზე გაიცნეს. კაცმა რომ თქვას, როგორც საცხოვრებელი განაშენიანების ნაწილი იგი ეს-ეს არის ყალიბდება, მაგრამ როგორც სოციალური კატეგორია, უკვე არსებობს. არსებობს, ვინაიდან ინდუსტრიული ურბანიზაციის არტახებიც კი ვერარას აკლებს თბილისური კეთილმეზობლობის სულისკვეთებას.

ამბობენ, სახლს, რომელშიც ბავშვების ყრიამული არ ისმის, უკაცრიელი ეთქმისო. ამ თვალსაზრისით ახალმშენებლობათა უმრავლესობას, რომლებმაც დღესასწაული დამშვენეს, მჩქეფარე ცხოვრება უწერია: მათ მორის არის ახალი სამშობიარო სახლი თემქას დასახლებაში, ბავშვთა საცურაო კომპლექსი პირველი მაისის რაიონში, „ბავშვთა სამყაროს“ სავაჭრო ცენტრი ვაგზლის მოედანზე. თბილისობამ სტუმართმოყვარულად შეაღო მისი კარი.

ახალმშენებლობანი დღესასწაულის დომინანტაა.

ახალმშენებლობებს განაკუთვნა მან ნაგებობანიც, რომელთა საძირკველი რამდენიმე საუკუნის წინ ჩაიყარა. სახელმწიფოს მიერ დაცული ქალაქის ძეგლების სიაში თბილისობამ განთქმული ჭრელი აბანოებიც შეიტანა. თაბორის მთასთან, სადაც ცხელ წყაროებზე ოდითგან აშენებდნენ მაცოცხლებელ აბანოებს, ახალი შენობის ქათქათა გუმბათები აღიმართა. ახალიო, ვამბობთ, თორემ მიწის დანაშრევების, გვიანდელი ნაგებობების ქვეშ სპეციალისტებმა XVII საუკუნის ნაშენი აღმოაჩინეს.

ყოველივე ძველსა და ახალს, რაც თბილისობამ აღმოგვაჩენინა, ჩაუქრობელს. ამ დღეს მექორწილეთა მაყრიონებმა. ახალდაქორწინებულთ მოელთ ცხოვრების დიდი გზა, რომელზეც მათ შემთხვევით როდი შედგეს ფეხი სწორედ დღესასწაულის დღეს. დაე, მთელი მათი ცხოვრება ყოფილიყოს დღესასწაული, ის ერთადერთი, სწორუპოვარი დღესასწაული, რომელსაც შენს არსებაში ატარებ, რომელიც გაცნობიერებინ ე ბ ს შენს მარადიულ კავშირს მშობელ ქალაქთან და სამშობლოსთან.

მადლობა შენდა, 1983 წლის თბილისობავ! შენ ღირსეულად დაგვირგვინე ზეიმი —გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაული, რომელსაც ჩვენ შევაგებეთ ყოველივე საუკეთესო, რაც კი რამ გაგვაჩნდა.

დღესასწაულის რეპორტაჟი მიმაყვადთ საქინფორმის სპეციალურ კორესპონდენტებს.

სურათებზე: თბილისის საპატიო მოქალაქეები. მარცხნიდან: ლ. კულიჯანოვი, ა. ზურაბაშვილი, გ. ტოფსტონოგოვი, გ. მეტონიძე, ა. კალანდაძე, მ. ბერძენიშვილი, გ. ცაბაძე, ო. ლიონანიშვილი; ზემოდან: ზემოდან მერაია გოგონები; ზეიმი რიყეზე.

ვ. ვენგიურის, ხ. კილაძის, ფ. ჯრიმსკის, ჯ. ლომაძისა და თ. ნიკოლაიშვილის ფოტოები.

მადლობა შენდა, თბილისქალაქობავ!

1988 წლის 30 ოქტომბერს ნაშუადღევის ორ საათზე რესპუბლიკის დედამიწადანმა ზეიმის ეპიცენტრობის უფლებამოსილება ძმობის მოედანს გადაულიცა. აქ ტრადიციული საერთო-საქალაქო თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა შრომის გმირთა პატივგება და თბილისის საპატიო მოქალაქეთა არჩევის საზეიმო ცერემონიალი.

ქალაქის მკვიდრთა ლხინის გასაზიარებლად, მათთან ერთად თბილისობაში მონაწილეობის მისაღებად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. გრიშინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. ა. ნოზაძე,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ნ. ჭინთაშაშვილი,** რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. პ. ორლოვი,** აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჭ. მ. ბაგიროვი,** სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **კ. ს. დემირჩიანი,** სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ს. მურახოვსკი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები **გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ე. კ. შარტავა,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ვ. ა. კონდრატიევი,** სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. ნ. ორჯონიკიძე,** კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **ლ. ი.**

მიეძღვნა თბილისობას

„**დაე,** ქართველი ერის ცხოვრება მუდამ იყოს მხიარული, ბედნიერი და ყოველმა ქართველმა იცინოს იმაზე, რაც სასაცილოა. ვიყოთ მხიარულნი და ვიცინოთ!“

ეს სიტყვები ცნობილ მხატვარ-კარიკატურისტს ოსკარ შმერლინგს ეკუთვნის. მართალია, იგი გერმანელი იყო, მაგრამ თავის სამშობლოდ საქართველო მიაჩნდა. ამიტომაც ეთაყვანებოდა ამ უმშვენიერეს მხარეს და მის დედაქალაქს, ამიტომაც მიუძღვნა ნიჭიერმა შემოქმედმა მრავალი ნახელავი თბილისს.

სწორედ ეს კოლორიტული ნახატები, ერთგვარად გრაფიკულ ნოველებს რომ მოგვაგონებს, ფერადი ღია ბარათების სახით შეიკონა ერთ კომპლექტად. მას ეწოდა „ძველი თბილისი“ და დასტამბა გამომცემლობა „ხელოვნებამ“. კომპლექტის ავტორ-შემდგენელია დავით ბუზუკაშვილი, რედაქტორი — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

პოპოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **ვ. მ. არხიპოვი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი **ა. ი. შირინკინი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი **ბ. ე. სენტიურინი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფიილების უფროსი პოლკოვნიკი **გ. ა. კუცი,** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ე. სარალიძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. გ. ლორთქიფანიძე.**

თბილისელები გულითადად მიესალმებიან ძვირფას სტუმრებს.

ეს სუფევაა ახდენილი

იმედებისა

აი, უკვე მეხუთე წლიური რგოლის გვირგვინი შეიკრა ქალაქის — ათას ხუთასი წლის ბერმუხის ახალ ტოტზე, რომელსაც თბილისობა ჰქვია. მეგობრობამ, სიყვარულმა, მშვიდობიანმა შრომამ ახალ-ახალი ყლორტები გამოასხეს ამ ხეს სიცოცხლისას. დადგა დიდი ხნის ნანატრი, მაგრამ ყოველთვის მოულოდნელი დღე, ახალგაზრდული სიკასკასით რომ ასხივოსნებს ხოლმე ჩვენს ძველთაძველ დედაქალაქს. ტრადიციისამებრ, ამ დღეს მთელი რესპუბლიკა ზეიმობს ხოლმე. დღეს კი დედაქალაქი აღნიშნავს მთელი რესპუბლიკის დღესასწაულს. 1983 წლის 30 ოქტომბრის თბილისობას განსაკუთრებული შუქი აცისკროვნებს: ეს ათინათია საბჭოთა საქართველოს მეხუთე ჯილდოსი —ლენინის ორდენისა.

ასე დაფასეს პარტიამ და მთავრობამ რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებები, მის მკვიდრთა აღმშენებლობითი შრომა მიწა-წყალზე, . რომელსაც ორასი წლის წინ რუსეთთან დადებულმა მეგობრულმა გეორგიევსკის ხელშეკრულებამ ესოდენ ნახატრი მშვიდობიანობა მოუტანა.

1983 წლის თბილისი. დღესასწაული. სუფევა ახდენილი იმედებისა. ჟღერს ფანფარები. მათი მოზეიმე ხმა ძმობის მოედანზე მოუხმობს საძმოს ყველა წევრს, ყველას, ვისაც ძმობა წინაპრებმა უანდერძეს, ვინც გულით გამოატარა იგი და საკუთარი ხელით შთაბერა სიცოცხლე.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ თბილისობა აღმოჩენებით გვასიჩუქრებს ხოლმე. აღმოჩენები კი მართლაც ბევრია.

ლესელიძის ქუჩის ამ ნაწილის რესტავრაციის პროექტს არქიტექტორმა წააწერა მიძღვნა ცნობილი ქართველი რეჟისორისადმი. ისინი ერთად შეჰყარა შესანიშნავი პოეტის ოცნებამ:

„შენ აგისხნია ბევრი ქარაგმა, ქორონიკონის კენტი და ლუწი, მაგრამ არ იცი ჩვენმა ქალაქმა რა სურათები მოჭარგა უწინ“.

წერდა მრავალი წლის წინათ თბილისის მეხოტბე იოსებ გრიშაშვილი. ამასვე ფიქრობდა საქართველოს სახალხო არტისტი არჩილ ჩხარტიშვილი, რომელმაც ერთმანეთს მიტმასნილი სახლების ჯარში ძველთაძველი ტაძრის მშვენიერება დაინახა. ამას გრძნობდა არქიტექტორი შოთა ყაველაშვილი, რომელმაც ხელმეორედ აღმოგვაჩენინა ეს მშვენიერება.

ბრახლსპოიტების მძლავრმა ჯაგლმა კედელს ჩამორეცხა ოთხი საუკუნის მტვერი. გამოჩნდა ჯვრის მამის ტაძრის ქვის პირვანდელი ფერი, XVI საუკუნე თანამედროვე ქუჩის მოძრაობას შეჰყვა.

აღმოჩენები კი გრძელდება. არქიტექტორმა ტაძარში დალანდა პატარა დარბაზი, ერთი მსახიობის თეატრის სცენა. ისმის მიმნდობი დიალოგი...

ნატრობდა პოეტი, მიაგნო მსახიობმა, ააღორძინა ხუოროთმოძღვარმა.

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია. ეს „არსებაგრძელობაა“ სათავე ოსტატობისა, რომლითაც თბილისელები ძეგრწავენ ქალაქის ცხოვრებას.

დღეს ბაკრი რამ გვაქვს გასახარი. თბილისობისათვის გადაუშლიათ მკლავები სოხნის ქუჩის გაყოლებით სანაპიროზე წამომართული ძველი სახლების აივნებს. თვით საყდარიც —ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი სულ სხვანაირად გამოჩნდა, თითქოს წინათ კი არც მდგარაო. ახლებურად წარმოჩნდა მისი ორი სამრეკლოც, „ქართული“ და „რუსული“ —ის სამრეკლო, 1812 წლის სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად რომ აიგო... ახლა სიონის ქუჩის ქარვასლას არ იკითხავთ?..

— ჩვენ ძველი ქალაქის სახეს დეკორად კი არ წარმოვიჩენთ, — ამბობს თბილისის დაცული ზონის რესტავრაციისა და რეგენერაციის სახელოსნოს ხელმძღვანელი გიგა ბათიაშვილი.—ასეთ ქალაქში ცხოვრებაც მოჩვენებითი იქნებოდა. მთავარია, ისეთივე მოსახერხებელი გავხადოთ ძველი შენობები, როგორიც ახალი სახლებია. ამასთან არ დავუკარგოთ ოდინდელი ყაიდა — არ დავარღვიოთ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული შინაგანი კავშირი, რომელიც მუდამ შეიცავდა ცოცხალი ურთიერთობის აღმზრდელობითს ძალას.

ეასო სელეპანოვმა მყისვე გაგვიჭარწყლა მისი ანტიკვარულობის, სამომხმარებლო ღირებულების აზრი: „ძველ ნივთს ახლობელთა ხსოვნის პატივისცემით აჯადგენენ ხოლმე. ამ ხსოვნას ემყარება ოჯახი. და თვით ოჯახს — ყოველივე დანარჩენი“... ჭაღარა ოსტატი დაკვირვებას გვიზიარებს: „ძალზე ბევრი ხალხი მოდის ძველი ნივთების აღსადგენად, და სამუშაოც ძალიან ბევრი გვაქვს“.

გაუფრთხილდე წარსულს — ნიშნავს იზრუნო მერმისიაზეც. სპეციალისტებმა თანამედროვე ბინის ბევრი პრობლემის გაკეთებაც ძიაგნეს ძველ უბანში. ბაგალითად, მათი „რჩევით“ დააპროექტეს ექსპერიმენტული სახლი, რომელიც შიგნიდან თანამედროვე ბინებით არის აღჭურვილი, გარედან კი ძველებურს ჩამოჰგავს. სხვათა შორის, იგი ორმოცი ათასი მანეთით უფრო იაფი დაჯდა ასეთივე ფართობის სტანდარტულ ასაწყობ სახლთან შედარებით. არქიტექტორთა აზრით, აქ მარჯვედ არის მიგნებული დიდი ქალაქის მცხოვრებისათვის ესოდენ საჭირო საყოფაცხოვრებო და სულიერი კომფორტის შესაბამი. სახლი შენდება იეთიმ გურჯის, იმ თბილისელი აშუღის ქუჩაზე, შინ დაბრუნებისას ასე რომ მიესალმა მშობლიურ კერას: „გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი“...

ასეთივე გრძნობა ხომ არ გვებადება ჩვენც თბილისობაზე, რომელიც ჩვენი ბავშვობის საყვარელ ქალაქს ხელახლა აღმოგვაჩენინებს ხოლმე?

ჩვენ ყველას გაგვივლია ამ ქალაქში კოლექტიური ეთაკის დაწყებითი სკოლა, აქ ვეზიარეთ წილნაყარობის გრძნობას, იმ წილნაყარობისას, ოჯახურ წრეს რომ სცილდება და ღვიძლად, შეიეულად აღგაქმევინებს სახლს, ქუჩას, ქალაქს, ქვეყანას.

ცხოვრების შენების ოსტატნი

ყოველ ადამიანს აქვს რაღაც საოცნებო. მაგრამ ეს ოცნება რომ აიხდინოს, იგი უნდა იყოს განმგებელი თავისი ბედისა, ოსტატი თავისი საქმისა.

სწორედ ასეთ ადამიანებს მიაგებს პატივს თავისი ზეიმის ზენიტში თბილისქალაქობა ძმობის მოედანზე.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია.

— დღეს, — მიმართავს იგი თბილისელებს და დღესასწაულის სტუმრებს, — მთელი საქართველო მოვიდა თბილისობაზე, პატაკს აბარებს დედაქალაქს სასახელო მამულიშვილური საქმეების, კომუნისტური აღმშენებლობის ყოველ უბანზე მოპოვებულ წარმატებათა შესახებ. რესპუბლიკის ყველა რაიონის და ქალაქის მშრომელებმა აქ ჩამობრძანეს სიუხვის კალთა, თან მოიტანეს ხალხური ხელოვნება, ხესა, ქვასა თუ თიხაში აღერებული სული, სწრაფვა მაღალი შემოქმედებისა და ოსტატობისაკენ.

ძვირფასო მეგობრებო, მიიღეთ თბილისელთა დიდი მადლობა და უღრმესი პატივისცემა!

საიუბილეო სამზადისის პერიოდში მართლაც რომ ჩინებულად გაისარჯნენ ასობით, ათასობით თბილისელი, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელები, რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის ყველა დარგის მუშაკი.

ბარაქალა მათ გარჯასა და შემოქმედებას!

ღმა გამოსვივის მათი საყოველდღეო მოქალაქეობრივი გმირობა. დღეს მათ მადლობას უძღვნის თბილისობა!

ჟღერს ფანფარები. დგება ის წამი, რომელსაც მუდამ განსაკუთრებით მოუთმენლად მოველით ხოლმე. გ. დ. გაბუნია ასახელებს იმათ, ვისი გვარებიც ოქროს ასოებით ჩაიწერება ქალაქის სახელოვან მატიანეში.

ძმობის მოედანი მიესალმება თბილისის საპატიო მოქალაქეებად არჩეულ ქართული მეცნიერების ერთ-ერთ ბერმუხას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ავლიპი ზურაბაშვილს, წარჩინებულ ელმავალმშენებელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გურამ მეტონიძეს, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატს, პოეტ ანა კალანდაძეს, საქართველოს სახალხო არტისტს, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს, კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, თბილისის მთავარ მხატვარს ოთარ ლითანიშვილს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს, მრავალშვილიან დედას მანანა აბრამიშვილ-ფეტვიაშვილს, ჩვენს სასიქადულო თბილისელებს — საბჭოთა თეატრალური რეჟისურის ოსტატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური პრემიის ლაურეატს გიორგი ტოვსტონოგოვს, ცხობილ კინორეჟისორს, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს ლევ კულიჯანოვს.

გუგუნებს ომახიანი მრავალჟამიერი დედაქალაქის საპატიო მოქალაქეთა პატივსაცემად.

მეწყრად მოვარდნილი ძალუმი სიმღერის გუგუნში მოისმის ინ ადამიანის ჩუმი ხმა, რომელსაც ქართული ესტრადის ბევრი ვარსკვლავი უმადლის თავის „ამოსვლას“. გიორგი ცაბაძის მუსიკასთან ერთად პირველად მოისმა სცენიდან მისი ხმა. და ვარსკვლავებმაც, რომლებიც აჰყვნენ კომპოზიტორის სიმღერას თბილისზე, მისდამი პატივისცემის ნიშნად იმავ წამს დააოკეს თავიანთი პროფესიულად დაყენებული ოკალები.

ზესახიობი კითხულობს ლექსს თბილისზე — ქალაქისადმი სატრფიალო ლექსს. სმენად ქცეული ძმობის მოედანი მონუსხული შეჰყურებს ოთარ მეღვინეთუხუცესს, რომელიც გულუხვად გასცემს ქალაქს თავის ოსტატობას და თავადაც მასში პოვებს შთაგონების წყაროს.

ჩაღდება ცეკვა-თამაში, დოლის დამპატიჟებელ ბალალაიკის წკრიალი ენაცვლება. ბერიკები და მასხარები ერთ ფერხულში ჩაბმულან.

ძმობის მოედანზე სუფევაა სიხარულისა.

და გვახსენდება ანა კალანდაძის „მრავალჟამიერ“.

შენს მამაც გმირებს — გზა ხაომარი
მხნედ რომ ვალიეს,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად, მრავალჟამიერ!
თავისუფლების, შრომის და ბრძოლის

ისტორიის მოწმენი

(დასასრული)

შორისაა XVIII საუკუნეში პეტერბურგის ზარაფხანაში ჩამოსხმული გეორგიევსკის ტრაქტატის აღსანიშნავი ბრინჯაოს მედალი, მუსაჟი ხელნაწერი წიგნისა, რომელიც შეიცავს ცნობებს მოსკოვის დიდი მთავრის ივანე მესამისადმი ქართველთა მეფის ალექსანდრეს სიგელის შესახებ, სხვა რელიკვიები.

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ღრმა ისტორიულ ფესვებს მოწმობს მოსკოვის დონის მონასტერში გათხრების მასალები.

გახსნის დღეს გამოფენას ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

ულიტეთუი
ფაქტები მოვლენები
საკლესიო იუწყება

● კუბა

უხეში ფალსიფიკაცია და სიცრუე

ჰავანა. კუბის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გავრცელა ქვეყნის რევოლუციური მთავრობის სახელით ცნობა, რომელშიც დახასიათებულად მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უხეში ფალსიფიკაცია და მტკნარი სიცრუე გრენადის ამბების გამო.

როგორც პენტაგონი ამტკიცებს, თითქოს გრენადაში აგრესიის დაწყებამდე იმყოფებოდა ათასზე მეტი კუბელი, რომელთაგან ნახევარი შემდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა. სინამდვილეში მათი რიცხვი, დიპლომატების, ჭალებისა და ბავშვების ჩათვლით, არასოდეს არ აღემატებოდა 800 კაცს, ნათქვამია დოკუმენტში.

ამჟამად უცნობია 61 კუბელის ბედი. ამერიკის უარი წარმოადგინოს მონაცემები დაღუპული კუბელი მოქალქეების შესახებ, ყოველად უაზროა, ვინაიდან ადრე თუ გვიან ყოველივე ეს ცნობილი გახდება კუბისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის.

ამერიკის პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მტკიცებანი, თითქოს გრენადაზე შენდებოდა სამხედრო ბაზა, იგებოდა სტრატეგიული რაკეტების გამშვები შახტები და აღმოეჩინოთ სხვა რევოლუციური მოძრაობის მოსამარაგებლად გაკუთვნილი კუბური იარაღის დიდი საწყობები, „ცინიკური და სამარცხვინო ცილისწამებაა“, აღნიშნულია ცნობაში.

ესმოდა რა თავისი მტკიცებების სრული უსაფუძვლობა, შეერთებული შტატების მთავრობამ შემოიღო ამერიკული პრესის მკაცრი ცენზურული შეზღუდვები იმის შიშით, რომ არ ემხილებინათ საზარცხვინო სიცრუე გრენადის შესახებ. ეს, რაც ამ კუნძულზე ხდება, აღნიშნავს კუბის მთავრობა, ნათლად მოწმობს შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის უგუნურ, ფაშისტურ და აგრესიულ არსს.

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ

28 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

1983 წლის 26 ოქტომბერს სსრ კავშირის სენტ-ჯორჯესის საელჩოს ცეცხლი დაუშინეს ამერიკის შეიარაღებული ძალების თვითმფრინავებმა. ამ ბანდიტური თავდასხმის დროს საელჩოს ერთ-ერთი მუშაკი დაიჭრა.

ამრიგად, შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც განახორციელა თავხედური აგრესია გრენადის დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ჩაიდინა კიდევ ერთი დანაშაული — ხელყო დიპლომატიური წარმომადგენლობის შეუვალობა და უშუალო საფრთხე შეუქმნა მის თანამშრომელთა სიცოცხლეს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო მტკიცე პროტესტს აცხადებს გრენადაში საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ ჩადენილი ყაჩაღური მოქმედების გამო, აფრთხილებს, რომ ასეთ მოქმედებას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, და კვლავ აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აკისრია მთელი პასუხისმგებლობა გრენადაში მყოფი საბჭოთა მოქალაქეების სიცოცხლისა და უშიშროებისათვის.

ამავე დროს დადასტურებულია მოთხოვნა დაუყოვნებლივ შეწყდეს გრენადის წინააღმდეგ მიმართული აგრესია და ახლავე გაიყვანონ იქიდან მთელი ინტერვენციონისტული ძალები.

(საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კონსულტაციები

1983 წლის 6-20 ოქტომბერს პეკინში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კონსულტაციების მესამე რაუნდი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლ. თ. ილიჩოვა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ციან ციჩენმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხთან დაკავშირებით.

კონსულტაციები მშვიდ, გულახდილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ორივე მხარეს კონსულტაციები სასარგებლოდ მიიჩნია.

მხარეებმა დათქვეს კონსულტაციების მომდევნო რაუნდი 1984 წლის მარტში გამართონ მოსკოვში. (საკდესი).

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲜᲯᲐᲠᲘ

● სალვადორი

პავრიოგები უფვენ

სალვადორის პატრიოტული ძალები საგრძნობ დარტყმებს აყენებენ რეჟიმის ჯარებს ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. როგორც აჯანყებულთა რადიოსადგური „ვენსერემოსი“ იუწყება, ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმებმა ცხარე ბრძოლების შედეგად დამსჯელებისაგან გათავისუფლეს მრავალი მსხვილი დასახლებული პუნქტი სან-მიგელის, უსულატანისა და მორასანის დეპარტამენტებში. მოწინააღმდეგემ დიდძალი ტექნიკა და მრავალრიცხოვანი ჯარისკაცი დაკარგა.

სურათზე: ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მებრძოლები საბრძოლო ოპერაციის დროს.

საკდესის ფოტო.

მიილეს რეკომენდაციები

1983 წლის 26-29 ოქტომბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში (ქ. ლვოვი) გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ვ. გ. კულიკოვის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს სხდომა.

სამხედრო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ სამხედრო საბჭოს წევრები და მათი მოადგილეები ბულგარეთის სახალხო არმიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის, პოლონეთის ჯარის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის არმიის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებული ძალების, უნგრეთის სახალხო არმიისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის დელეგაციები.

სამხედრო საბჭომ განიხილა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მომდინარე საქმიანობის ზოგიერთი საკითხი. მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები მათი საბრძოლო მზადყოფნისა და საველე გაწვრთნილობის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

სხდომამ საქმიან ვითარებაში, მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ნარმატებული გასტროლები

დარ-ეს-სალამი. ტაშის გრიალით შეხვდნენ ტანზანიაში საქართველოს სს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვ. ცარგუშის ხელმძღვანელობით აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის პირველ გამოსვლას. კოლექტივის გასტროლები დაიწყო კონცერტით დარ-ეს-სალამის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზ „მსიმბაზი ჰოლში“.

როცა ტანზანიის მთავრობის სახელით საბჭოთა მსახიობებს მიესალმა, რესპუბლიკის ეროვნული კრების სპიკერმა ადამ საპი მკვავამ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-ტანზანიის კულტურული გაცვლის გაფართოება ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენი ხალხების ერთმანეთის სულერი სამყაროს გაცნობა, თქვამან, ხელს უწყობს მათ დაახლოებასა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

კონცერტის პირველი წუთებიდანვე დარბაზში მსახიობებისა და მაყურებლის მჭიდრო კონტაქტის ატმოსფერო შეიქმნა. აფხაზურმა ხალხურმა სიმღერებმა და ცეკვებმა ტანზანიის მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. ნამდვილი ოვაცია მოუწყო დარბაზმა ანსამბლის ქორეოგრაფიულ ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი მთავარი ბალეტმაისტერი საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. თარბა.

ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲣᲑᲐᲓᲣᲠᲘ



ᲙᲐᲠᲗᲘᲖᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲣᲑᲐᲓᲣᲠᲘ

ᲐᲜᲣ ᲔᲡᲙᲘᲖᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ“

პორტრეტი ჯერ უფროსით — დიდი გიორგით — კომპოზიტორ გიორგი ცაბაძით უნდა დავიწყოთ. ის არის აქ მთავარი — მომღერალი, ტრუბადური ჩვენი დედაქალაქისა.

ხომ ბევრს უმღერია თბილისსა ცისა და მიწისთვის. მისი სიმღერა მაინც განსაკუთრებულია. გიორგი ცაბაძის პიროვნება და შემოქმედება წარმოუდგენელია უთბილისოდ.

ახლაც, ალბათ, გაგახსენდათ კომპოზიტორის უამრავი მელოდიებიდან რომელიმე — თბილისის ძველ ქუჩაბანდებში მორიალე, „ყორჩი, ქამრიანი ბიჭების“ მოსაგონარი, ანდა ახალ, მხრებფარო, უბნებთან მოალერსე...

ყოველ „თბილისობას“ ხომ მირონივით ეცხებმ გიორგი ცაბაძის ესა თუ ის სიმღერა. ამჯერადაც ასე იყო. თვითონაც უმღერა ამ საფიცარ ადგილს...

• • •

უმცროსი გიორგი ვინღაა? იგი ეს-ესაა მოევლინა ქვეყნიერებას, პაპის პორტრეტს უნებურად ამოუდგა გვერდით, რამეთუ მოწმე გავხდი ოჯახში მისი შემობრძანებისა, სიმღერით შეეგება ბედნიერი პაპა ერთ ცოდა გიორგი ცაბაძეს, ამაღლდა, განათდა ჭერი.

და მერე, მოგვიანებით გაგახსენდა ჩვენი საქმე, ის, რისთვისაც შევაწუხე მასპინძელი.

— ღმერთმა ჰქნას, თქვენი გენები გამოჰყვეს, ბატონო გიორგი...

— შეიძლება, რატომაც არა... მამაჩემი (ისიც გიორგი) კარგი მომღერალი იყო... ასე რომ, წინაპრებისგანაც მოსდგამს... მე, თავად, „მამამ შემაყვარა სიმღერა, ჩამაწვარი იყო ძველი თბილისის მუსიკალურ ფოლკლორში. თანაც, რა უბანი იყო, რა სიმღერებს არ მოისმენდი. გოგოლის ქუჩა, გუდასტვირიანი ილიკო ქურხული... მეფაიტონეები... ახლა იშვიათად გაიგონებ იმგვარ დიალექტს...

— ისევ ძველი თბილისის უბნებში...

—რა თქმა უნდა. მიყვარს ხოლმე იქ გავლა. აგერ სამოცდაათს, ოთხმოცს გადაცილებული ბერიკაცი ეზოს წინ ჩამომჯდარა... მივესალმები, გავესაუბრები, მიხდა გავიგო, ხომ არ დაიკარგა ის გახუმეორებელი ინტონაცია ხმისა, ის სურნელი... რომ იცოდე, რა სიტყვაძვირები არიან. მოკლედ მოგიჭრიან სათქმელს. მე ხშირად მფიქრია, რომ ჩვენ მაინც ვერ ვლაპარაკობთ მათებრ სუფთა ქართულს.

ჰო, იმას გიამბობდით: მამის სიმღერებმა, გარემომ თავისი ჰქნა. ესეც არ იყოს, ეტყობა, უნიჭოც არ ვიყავი — დაუზარებლად ვუსმენდი ფირფიტებს და თან ხელს ვაყოლებდი, ჩემთვის ჭდირიჟორობდი. მშობლებმა ამას ყურადღება მიაქციეს, მალე პიანინოც მიყიდეს და ერთ მშვენიერ დღეს კომპოზიტორ ალექსი მაჟავარიანთან მიმიყვანეს. მაჟავარიანმა მომისმინა, კმაყოფილი დარჩა, კომპოზიციის ალღო შემიქო, და კომპოზიტორ შალვა მშველიძესთან გამგზავნა. ბატონი შალვა იმ დროს კომპოზიციას ასწავლიდა კონსერვატორიასთან არსებულ პირველ მუსიკალურ სასწავლებელში. მიმიღეს ამ სასწავლებელში, მერე კონსერვატორიაც დავამთავრე ფასნიშნავი პედაგოგების ხელმძღვანელობით, მაგრამ გზაზე მაინც შალვა მშველიძემ და ალექსი მაჟავარიანმა დამაყენეს.

— ერთი ეს გაგვანდეთ: მაინც როგორ მუშაობთ, როგორ იბადებიან თქვენი სიმღერები?

— კარგი ლექსი მაძლევს ბიძგს, მეხმარება ამ თუ იმ იტონაციის მოძებნაში. ასეც ხდება: ტვინს იჭყლეტ და არაფერი გამოდის. ზოგჯერ თვეობით გადამიდვია ლექსი. აბა, ალეკო ძეიგელიას „საქართველოს ძანანეო“, დამიჯერეთ, მართლაც ერთი ამოსუნთქვით, ერთ საათში ავამღერე.

— თქვენივე ტექსტით თუ შეგიქმნიათ როდისმე სიმღერა?

— არა, ლექსი არასდროს დამიწერია, თუმცა უსაზღვროდ ძიყვარს ქართული პოეზია. ისე, პეტრე გრუზინსკის და მორის ფოცხიშვილს (რა თქმა უნდა, ნეაპოლითით) ხანდახან რიტმს ან რითმას შევუსწორებ ხოლმე (სიმღერა როგორც ჰოიხდენს, იმის მიხედვით). წარმოიდგინეთ, ჯერ არ დაუწუნებიათ ჩემი შესწორებული...

— პოეტისა და კომპოზიტორის მეგობრობა-თანამშრომლობის ბევრი მაგალითი ვიცით, მაგრამ თქვენი და მორის ფოცხიშვილის ურთიერთობა მაინც განსაკუთრებული. როგორ შეეწყვეთ ასე ერთმანეთს?

— იგი შესანიშნავი მოქალაქე და პოეტი, დაუზარელი სიმღერაზე მუშაობისას, თუ საჭირო იქნა, უცებ შექმნის ლექსს რამდენიმე ვარიანტს. საერთოდ კი, როგორც წესი, ისინ ზედმწევნით მელოდიური ლექსი, პირდაპირ მოერგება ხოლმე სასიმღერო მელოდიას. რაზან ტექსტის ავტორებზე ესაუბრობთ, აქ უეჭველად უნდა ვაასენოთ პეტრე გრუზინსკი, პოეტი, რომელიც ეტალონია ჩემთვის სასიმღერო ჟანრში (ღიღინებს) „სადაც გინდა, იქ ილოცე“... ეს მარტო პეტრეს შეეძლო დაეწერა, და ასეთი, რამდენი... ხოლო ვინც ქართული ლექსის სურნელი მაგრძნობინა, ეს ვაჟა-ფშაველა იყო. სხვაგვარად ნუ ჩამომართმევო. ხომ კარგი სიმღერაა ოცდაათი წლის წინთ შექმნილი „მინდა გაკოცო, მაკოცო“.

მე მგონია, აქ მაინც ვაჟას ლექსია თავიდათავი.

ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲛᲢᲘ-ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘ

იმ დღეს მორის ფოცხიშვილთან გახლდთ. გიორგი ცაბაძე ბეგვისაუბრეთ. მერე ერთი დღიური მაჩვენა პოეტმა, რომელშიც ორი შემოქმედის ძმობა-მეგობრობის, ურთიერთობის თითქმის ყველა საინტერესო მომენტია აღნუსხული — იყოს, ზოგჯერ რაიმეს გავიხსენებთ, ანდა, იქნებ ვინმეს გამოადგეს... — მითხრა მორისმა — აი ნახეთ, ეს ლექსი ექსპრომტად ჩავწერე გუშინწინ დღიურში, თან ტელევიზორს ვუყურებდი, „ვერის უბნის მელოდიებიდან“ „ყიმღერა მთავარზე“ გოგის ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებად მიმაჩნია.

საერთოდ კი, მე ბედნიერი ხანა შემხვდა — ვასრულებდი და ვასრულებ ქართული საესტრადო მუსიკის ისეთი ცნობილი ოსტატების ნაწარმოებებს, როგორიც არიან რევაზ ლაღიძე, გიორგი ცაბაძე, შოთა მილორავა, გია ყანჩელი, ბიძინა კვერნაძე, ვაჟა აზარაშვილი და სხვები...

—რა გამოარჩევს მათგან გიორგი ცაბაძეს?

— არაჩვეულებრივი ქალაქური კოლორიტი, საკუთარი მელოდია...

* * *

— თქვენი შემოქმედება ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტ მუსიკალურ ნაწარმოოებს, აღმოცენებულს ეროვნულ მელოსზე, თუნდაც მსუბუქი ჟანრისა იყოს, დაბერება არ უწერია, ახლა, როდესაც ამდენი საესტრადო ანსამბლი შეგვეძინა, ისევე რიმეს ურჩევდით ახალგაზრდა კომპოზიტორებს, მუსიკოს-შემსრულებლებს?

— ეროვნულ ნიადაგს უნდა დაეყრდნონ, ჩვენი მრავალსუკუნოვანი სასიმღერო ტრადიციებიდან უნდა ამოვიდნენ. ეს არის სიმღერის უბერებლობის პირველწყარო. ლექსს, სასიმღერო ტექსტს უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება. ამას ზოგჯერ გადამწყვეტი ძნიშვნელობა აქვს. ეს დარიგება უპირველესად, ჩემს ბიჭს — კახასაც ეკუთვნის. მან შარშან დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის კომპოზიციის ფაკულტეტი პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით. სერიოზული ყმაწვილია და ვნახოთ...

— ცნობილია თქვენი ღვაწლი ქართული საოპერეტო მუსიკის მიმართ, „თოვლიანი მთების მელოდიები“, „ჩემი შეშლილი ძმა“, „კურკას ქორწილი“... უკვე აღიარებული ოპერეტებია. რამე ახალს თუ გვპირდებით ამ ჟანრში?

— მუსიკალური კომედიის თეატრთან ერთად ამჟამად ვმუშაობ ახალ ქართულ მიუზიკლზე „მეტეხის ჩრდილში“... ალბათ, გახსოვთ ოთარ მამფორიას ეს გახმაურებული პიესა...

— ო, რას თამაშობდა ძია ალქროს სერგო ზაქარიაძე?!

— დიახ. ახლა რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვახტანგ სალარიძეს ვიხილავთ ამ როლში. დამდგმელია რეჟისორი თეიმურაზ აბაშიძე. ოპერეტაში იქნება ანსამბლები, კორდებალეტი, ძველი თბილისის ქართული კოლორიტი...

— ბატონო გიორგი, საინტერესოა, როგორ განმარტავთ გამოთქმას: „ჭეშმარიტი თბილისელი?“

— ზოგს ჰგონია, მხოლოდ თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცია ჭეშმარიტი თბილისელი... რა მნიშვნელობა აქვს, ოღონდ ნამუსიანი იყოს, როგორც დედის სახელს, ისე უფრთხილდებოდეს თბილისის ღირსებას, ისე იქცეოდეს, რომ უცხომ არაფერ შეუგინოს დედაქალაქი. თბილისი უძველესი კულტურის ქალაქია. აქ გაიზარდნენ და იზრდებიან დიდი შემოქმედნი, სასიქადულო პოეტებს, მხატვრები, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები და ის უბრალო მუშა ხალხი, რომლებიც თბილისის გაწმეორებელ კოლორიტს ჰქმნიან. აღსანიშნავია, რომ ამ ხალხს ერთი დიდი სულიერი საერთო აქვთ: კეთილშობილება და პატიოსნება.

მატარებელში, უკვე გორიდან რომ ვემზადებით თბილისთან შესახვედრად, მოუთმენლობა გვიპყრობს და ფანჯარასთან ვდგებით, რომ შთაწმინდას შორიდან თვალი ვკიდოთ. აი, ამ კერძნობას უნდა მოფრთხილება, ნათელი გულითა და თვალებით უნდა ვეუყურებდეთ თბილისს აწმყოსა და მომავალს (ალბომში მწერალ გიორგი გელაშვილის სურათს მიჩვენებს). აი, ნაღდი თბილისელი ვინ იყო... უსპეტაკესი კაცი, უზომოდ შეუყვარებული თავის ქალაქზე... ასე მინდა გაიზარდოს ჩემი შვილიშვილი — პატარა გიორგი... ნამუსიანი კაცის სახელი ახლდეს ყველგან...

• • •

რომ დავემშვიდობე და წამოვედი, უკვე ბინდი იყო. ოქტომბრის ბოლოს საგრძნობი სუსხი ახლდა. ერთმა მადლიანმა მსუბუქი მანქანა გამიჩერა და, როდესაც მის გვერდით მოვკალათდი, მაგნიტოფონიდან გადმოღვრილ მელოდიას მივაყურადე. გიორგი ცაბაძე მღეროდა თავის სიმღერას. „ჩემო ღმერთო, ერთადერთო, ჩემო თბილისო“, უგალობდა ბინდში ჩაძირულ თბილისს-ქალაქს კომპოზიტორი.

ახალგაზრდა მძღოლს, ალბათ, საუბრის გაბმა სურდა, გადმომხედა და მაგნიტოფონისკენ მანიშნა:

— ჯიგარია, არა?

— რაღა უნდა მეთქვა, თავი დავუქნიე.

Ზ. ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲕᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔᲚᲘ სუფრიდან ადგა, ეზოში გავიდა, მაღლარი ვაზიდან რამდენიმე მტევანი მოწყვიტა და სტუმრებს მიართვა.

ეს იყო წლევანდელი ოქტომბრის დამდეგს, როცა რთვლობის ალო დგას საქართველოში... ოღონდ ესაა, ქართული ვაზის ყურძნით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერას ოლქის ქალაქ იენაში გაგვიმასპინძლდნენ. მასპინძელი კი იყო ცნობილი მეცნიერი, ხანგრძლივი დროის მანძილზე იენის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ფრანც ბოლკი.

— ეს ვაზი ჩვენი მეგობრობის სიმბოლოა, მისი ნერგები თქვენს სამშობლოში მაჩუქეს, — გვითხრა მან სადღეგრძელოში.

ჩვენ გამოსათხოვარ საღამოზე ვიყავით ფრანც ბოლკის კეთილ ოჯახში. მანამდე კი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის საქვეყნოდ ცნობილი უნივერსიტეტის დაარსებიდან 425-ე წლისთავის ზეიმში ვმონაწილეობდით.

ზეიმზე ჩამოსული იყვნენ დელეგაციები ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ერაყიდან, მოზამბიკიდან და სხვა ქვეყნებიდან. საბჭოთა კავშირიდან ჩვენთან ერთად იყო მინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სმა ვაჟა ოკუჯავამ ქართული უნივერსიტეტის კოლექტივის სახელით ადრესი მიართვა იენის უნივერსიტეტს და გერმანელ მეგობრებს მათ მშობლიურ ენაზე მიმართა:

„მე წოლად მხედა დიდი პატივი დავესწრო თქვენი უნივერსიტეტის ზეიმს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენლის სახელით მოგილოცოთ შესანიშნავი თარიღი — იენის უნივერსიტეტის დაარსების 425 წლისთავი.

თქვენმა ძველმა უნივერსიტეტმა, რომელიც დღეს მსოფლიოს წელია მეგობრობს თქვენს უნივერსიტეტთან. ეს მეგობრობა შეიძლება ჰაბუკისა და მოხუცის მეგობრობას შევადაროთ, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ეს მოხუცობა დაუძლურების ნიშანი კი არა, სიბრძნის მაჩვენებელია. ამ ურთიერთობის სილამაზე ის გახლავთ, რომ მეგობრები მზად არიან ისწავლონ ერთმანეთისაგან და შეუძლიათ ასწავლონ ერთმანეთს.

ოცწლიანმა თანამშრომლობამ უკვე გამოიღო ნაყოფი. მე ვგულისხმობ ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გამართულ ერთობლივ კონფერენციებსა და კოლოკვიუმებს, სხვადასხვა მიმართულებით გაშლილ ერთობლივ კვლევას, სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების გაცვლას, ერთობლივ პუბლიკაციებს, ყოველწლიურ ჟურნალ „გეორგიკას“... მინდა დიდი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც მონაწილეობას იღებდა აღნიშნულ მუშაობაში, მაგრამ განსაკუთრებით მადლობა ეუბნებოდეთ ბატონ ფრიდრიხ შილერის პორტრეტი, რომელიც ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ირაკლი ოჩიაურმა საგანგებოდ შეასრულა“.

დამსწრეთა ოვაციამ დაფარა აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას ბოლო სიტყვები, დარბაზში გამოკრთა დიდი გერმანელი პოეტის სახე, შთაგონებით შესრულებული ქართველი ხელოვნის მიერ. აკადემიკოსმა ოკუჯავამ იუბილარს გადასცა ეტრატზე მხატვრულად შესრულებული ადრესი გერმანულ და ქართულ ენებზე.

ზეიმმა იენის ხალხთა სახლში გადაინაცვლა. იგი გახსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი განათლების მინისტრმა, დოქტორმა ბიომემ. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი რექტორის, ფრანც ბოლკის პირად წვლილს იენის უნივერსიტეტის დაწინაურებასა და მისი საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერებაში.

მსმენელთა წინაშე მოხსენებით წარსდგა პროფესორი ფრანც ბოლკი.

შემდეგ გაიმართა ახალი რექტორის არჩევის ცერემონიალი. პროფესორმა ბოლკმა რექტორის რეგალიები საზეიმოდ გადასცა ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბერნდ ვილჰელმის.

საღამოს უნივერსიტეტში გამართულ მიღებას ესწრებოდნენ გერას ოლქის და ქალაქ იენის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ქიმიის სექციის კოლექტივი, მისი ხელმძღვანელი დოქტორი გერჰარდტ ვეცელი, რომელიც იენაში ჩვენი ყოფნის დროს მასპინძლობას გვიწევდა, აგრეთვე გერმანელი ქართველოგი ჰაინც ფენრიხი და მისი კოლეგები.

იენისა და თბილისის უნივერსიტეტების მეგობრობის ყველა უმნიშვნელოვანეს მომენტს აღწერს ამ დღეებში გამოსული პროფესორ შოთა რევაზიშვილის ქართული წიგნი, რომელიც ამ სახელოვანი უნივერსიტეტის 425 წლისთავს ეძღვნება.

იენის უნივერსიტეტის 425 წლისთავი დიდი მოვლენაა არა მარტო გერმანელი ხალხის ცხოვრებაში, არამედ ყველა იმ ადამიანისთვისაც, ვისაც კაცობრიობის პროგრესი, მშვიდობა და კულტურის განვითარება ახარებს და აინტერესებს.

Მ. ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ,
თბილისის უნივერსიტეტის უცხოეთთან სამეცნიერო ურთიერთობის განყოფილების გამგე.

ᲠᲣᲡᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲘᲩᲘᲡ გარეუბანში, იქ, სადაც მდინარე პოდკუმოვი ოდნავ იცვლის მიმართულებას და სამხრეთისაკენ მიედინება, პატარა კუნძულია. კუნძულზე მოაგარაკე გეორგიევსკელთა სახლებს შორის მწვანეში ჩაფლულმა პატარა სახლმა და მისმა ბინადრებმა დაგვაინტერესა. ეზოში „იზაბელას“ თალარია. იქვე დგას თონე, თონის იქით, ღია ცის ქვეშ მიწაში ჩაფლული პატარა ქვევრია. მერე კი ქალაა, მდინარის გაღმა ვერხვები შრიალებენ.

ამ ეზოში ვნახეთ სამოცი წელს გადაცილებული მხნე მამაკაცი, რომელსაც მზეზე დამწვარი სახე და მუშაკაცის ხელები აქვს. იგი გეორგიევსკიდან ელოსპეიდით ჩადის ამ სახლში. ფართო, ენერგიული ნაბიჯით გადაჭრის ხოლმე ძაფივით ვიწრო ბილიკს და ირგვლივ გამეფებულ სიმწვანეში უჩინარდება. ამ კაცს სიმპოზიონის მხარეში ხელოვნების მოყვარულნი კარგად იცნობენ. იცნობენ, როგორც ნიჭიერ მხატვარსა და საქართველოს გულმხურვალე მეგობარს.

ეს სახლი მხატვარ ვასილ პეტრეს ეკ სევეროვის სახელოსნოა. სახლის ირგვლივ კი ნამდვილი ნაკრძალია თავისი მდიდარი ფლორითა და ფაუნით.

საქართველო ვასილ პეტრეს ძე სევეროვის მეორე სამშობლოა. მან მრავალ წელს იცხოვრა ჩვენში. დიდი სამამულო ომის დაწყებამდე იგი კახეთში მუშაობდა. სხვებთან ერთად ცხოვრობდა ყვარელში. მხატვარი თელავსა და ყვარელში სამსახურის დროს განსაკუთრებით მოხიბლულა ჩვენი ბუნებით და სწორედ აქ ყოფნის დროს გადაუწყვეტია მხატვარი გამხდარიყო, მაგრამ ომმა შეუშალა ხელი. სამამულო ომის დამთავრებისთანავე სევეროვი საქართველოში ჩამოსულა და თბილისს სამხატვრო აკადემიაში შესულა. მხატვარს უფიქრია სათუთად დაეცვა მოწმობა, რომელიც საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ არის გადაცემული, სადაც რუსულ და ქართულ ენებზე აღნიშნულია, რომ 1951 წელსვ ვ. პ. სევეროვი გახდა მხატვართა კავშირის წევრი. მას დღემდე ახლო ურთიერთობა აქვს ქართველ მხატვრებთან. აი, რას სწერს ამ დღეებში სევეროვი საქართველოს სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს: „ძვირფასო უჩა მალაქიას ძეკ, შორიდან, გეორგიევსკიდან გითვლით სალამს, გიგზავნით სიყვარულს ქალაქიდან, სადაც ხელი მოაწერეს რუსეთისა და საქართველოს დამოყვრების ტრაქტატს. მე ძველებურად შემწევს ძალა შემოქმედებითი ბრძოლისა და თქვენი ღირსი მეგობრობისა. ვ. პ. სევეროვი“.

ვასილ სევეროვი ძირითადად ბუნებას და საქართველოს ხატავს. 1951 წელს თბილისის სახატვრო სახლში მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა, ხოლო 1955 წელს მას მეორეც მოჰყვა. 1958 წლიდან სამ წელიწადს სევეროვმა მათუმში იცხოვრა, ხოლო ამის შემდეგ დასახლდა გეორგიევსკში.

მხატვარმა დღემდე უამრავი სურათი შექმნა საქართველოს შესახებ. მარტო ქ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია სევეროვის 46 აკვარელი, აქედან 10 სურათი მიძღვნილია გეორგიევსკის ტრაქტატისადმი.

ამას წინათ მის მშობლიურ გეორგიევსკში მოაწყვეს მხატვრის ნამუშევრების გამოფენა, რომელსაც გაზეთმა „სტავროპოლსკაია პრავდამ“ „ანკარა წყაროო“ უწოდა. ამ გამოფენის ექსპონატებში მართლაც იგრძნობა ანკარა წყაროს სიწმინდე, რაც მხატვრის გულისთქმის გამომხატველია, საქართველოს სიყვარულის, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის დადასტურებაა. შთაბეჭდილებათა ეგზემპლარი ჩანაწერები უფრო უკეთესად ამბობენ სათქმელს:

„სურათები გვაიძულებენ დავინახოთ და ვიფიქროთ საქართველოს მიწას. ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს ვეხებოდეთ ყველაზე სანუკვარს“; „აღმფრთოვანებელი ნიჭია. ეს არის მუსიკა ფერებში“; „მხატვარმა წუთით დაიჭირა ბუნების მარადი მოძრაობა“. „უყურებ აკვარელს და პირადი მწუხარება გავიწყდება“.

ჩანაწერები გერმანულ, პოლონურ, ჩეხურსა და ინგლისურ ენებზეც არის. მთელი რეკეული უჭირავს ჩანაწერებს ქართულად, რადგან „საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია სევეროვის შემოქმედებაში“, — წერს გაზეთი „სტავროპოლსკაია პრავდა“.

მხატვარი დღესაც დაუშრომლად განაგრძობს მუშაობას. ხატავს საქართველოს ბუნებას. მას ფეხითა აქვს მოვლილი ჩვენი რესპუბლიკის მთა-ბარი. დახატული აქვს ყ